# ხაშურის მოამბე

№22(346) 20 ივნისი, ორშაბათი, 2022 წელი


## ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ ფარგლებში, სამუშაო შეხვედრა გაიმართა

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ლელა მაჭარაშვილი და მერიის სხვადასხვა სამსახურის თანამშრომლები,ორგანიზაცია GIZ. -ის წარმომადგენლებს შეხვდნენ და სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების პროცედურები განიხილეს.

სამოქალაქო ბიუჯეტირების ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება პროექტი „დაგეგმე შენი მომავალი“ ,რომლის ტექნიკური მხარდამჭერია საქართველოში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია GIZ

პროექტი სლოგანით „დაგეგმე შენი ბიუჯეტი“ ხორციელდება ხაშურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში. პროგრამის მიზანია გაიზარდოს მოქალაქეთა ჩართულობა მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვის და განხორციელების ეტაპზე.

გარდა ამისა, გერმანული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა შეისწავლეს საჭიროებები, რაც ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებობს და დაისახა სამომავლო თანამშრომლობის გეგმა.

## საქართველოს რაგბის კავშირსა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

თანამშრომლობის მიზანია ხაშურის მუნიციპალიტეტში რაგბის, როგორც სპორტის სახეობის პოპულარიზაცია, სარაგბო ინფრასტრუქტურის - სარაგბო ბაზის მოწყობა, ბავშვთა რაგბის განვითარება, ადგილობრივი კლუბების

ხელშეწყობა.

რაგბის კავშირის სახელით მემორანდუმს ხელი მოაწერა კავშირის თავმჯდომარე იოსებ ტყემალაძემ, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მემორანდუმის ხელმოწერას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი, ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატი ზაალ დუგლაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი და ვეტერანი რაგბისტი დავით კაჭარავა, შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე აბელ აბესაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ლევან გამრეკელი, მუნიციპალიტეტის მერიის, პარლამენტის წევრის ბიუროს თანამშრომლები, სპორტული საზოგადოების წარმომადგენლები, ნორჩი და ვეტერანი სპორტსმენები.

ღონისძიების ფარგლებში კიდევ ერთ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. ბიზნესმენმა, შპს „პინოს“ დამფუძნებელმა ჯიმშერ ტყემალაძემ და ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის ხელმძღვანელმა ვანო ხარაზიშვილმა ხელი მოაწერეს სპონსორობის ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებშიც, ბიზნესმენმა გამოხატა მზაობა ფინანსური მხარდაჭერა გაუწიოს ხაშურის მუნიციპალიტეტში რაგბის განვითარებას.

რაგბის განვითარების მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტში, ზემო სერის ტერიტორიაზე 4 ჰა ფართობია გამოყოფილი, სადაც დაგეგმილია მულტიფუნქციური კომპლექსის მშენებლობა. საწყის ეტაპზე კომპლექსი მოიცავს ერთ სავარჯიშო და ერთ ძირითად მოედანს ხელოვნური საფარით, რომელიც გათვლილი იქნება 500 მაყურებელზე, იქვე განთავსდება კვების ბლოკი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. შემდგომ ეტაპზე კი განიხილება მულტიფუნქციურ კომპლექსში სასტუმროს (არანაკლებ 40 ადგილისა) მშენებლობა, რაც შექმნის ყველა პირობას როგორც სხვადასხვა სახის შეჯიბრის ჩატარებისთვის, ისე საწვრთნელი შეკრებების მაღალ დონეზე წარმართვისთვის.

## ძვირფასო მოქალაქეებო!

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია ეხმაურება მოქალაქეთა მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ კომენტარებს და პირად შეტყობინებებში გამოგზავნილ თუ კერძო საუბრებში დასმულ შეკითხვებს ქალაქ ხაშურში გზების რეაბილიტაციასთან და წყლისა და კანალიზაციის სისტემის მოწყობასთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული ბოლო ინფორმაციით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტით გათვალისწინებული ხაშურის წყლის მაგისტრალური მილსადენისა და გამანაწილებელი ქსელის რეკონსტრუქციის სამუშაოების საერთაშორისო შესყიდვის პროცედურები.

გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულება გაფორმდება და სამუშაოები დაიწყება 2022 წლის მესამე კვარტალში.

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები მოიცავს ქალაქ ხაშურს, სოფელ ცხრამუხას და სოფელ ოსიაურს.

შესაბამისად, ყველა იმ ტერიტორიაზე, სადაც უნდა განხორციელდეს პროექტი, გზების რეაბილიტაცია დაიწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც წყალმომარაგების პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები განხორციელდება. მოგეხსენებათ, გზების რეაბილიტაცია დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან, ამიტომ იმ პირობებში, როცა წყალმომარაგების პროექტი აუცილებლად გამოიწვევს გზების გადათხრას და დაზიანებას, წინასწარ გზების რეაბილიტაციის დაწყება საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივი და არარაციონალური ხარჯვა იქნებოდა.

ჩვენ აბსოლუტურად ვიზიარებთ მოქალაქეთა წუხილს, ვისაც გაუმართავი ინფრასტრუქტურა დისკომფორტს უქმნის. იმედი გვაქვს, მოსახლეობა გაგებით მოეკიდება ობიექტურ გარემოებებს, რამაც გაუმართავობა გამოიწვია.

გვსურს განვაცხადოთ,რომ მუნიციპალიტეტი მთელ ძალისხმევას მიმართავდა და ამჟამადაც მიმართავს პროცესების დასაჩქარებლად. თითოეულ მოქალაქეს მადლობას ვუხდით მოთმინებისთვის.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია

# ზურაბ ნოზაძე: ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ხაშური გახდეს უფრო მწვანე და უფრო ეკოლოგიური ქალაქი, ვიდრე აქამდე იყო...

ცოტა ხნის წინ, დასუფთავების სამსახურისგან დამოუკიდებლად, ახალი ა(ა)იპ, „გამწვანება და წყალი“ შეიქმნა. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განსაკუთრებული მხარდაჭერა მწვანე და უფრო ეკოლოგიური გარემოსკენაა მიმართული და ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია.

გვესაუბრება ზურაბ ნოზაძე_ა(ა)იპ 1გამწვანება და წყლის“ უფროსი.

- რამ განაპირობა, „გამწვანების და წყლის“, ცალკე სამსახურად ჩამოყალიბება? აღნიშნული უფლება-მოვალეობები, როგორც ვიცით, დასუფთავების სამსახურს ეკუთვნოდა...

–მოგეხსენებათ, რომ, დასუფთავების სამსახური, ყველაზე დიდი ა(ა)იპ იყო ხაშურში, რომლის შემადგენლობაში, ბევრი სამსახური იყო გაერთიანებული. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით, იმ პრიორიტეტების გათვალისწინებით, რაც დღეს მერიას აქვს, გადაწყდა გამწვანების მიმართულების ცალკე სამსახურად ჩამოყალიბება, რომელსაც, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, წყლების, სათავე-ნაგებობების მოწესრიგებაც დაემატა. სამსახური ახალი ჩამოყალიბებულია, ბიუჯეტიც წინა წელს განისაზღვრა და ვეცდებით, ეტაპობრივად და დიდი ენთუზიაზმით გავაკეთოთ ის საქმე, რომლის ვალდებულებაც ავიღეთ. როგორც უკვე აღვნიშნე, დიდი მხარდაჭერა გვაქვს პირადად მუნიციპალიტეტის მერისგან, რომელსაც დიდი სურვილი აქვს, ხაშური გახდეს უფრო მწვანე და უფრო ეკოლოგიური ქალაქი, ვიდრე აქამდე ყოფილა.

- რა გამოწვევები გაქვთ, როგორც ხელმძღვანელს?

–გამოწვევები ძირითადად ტექნიკური საშუალებების არასაკარისი რაოდენობა და დაბალი ხელფასებია, რომლის მოგვარებასაც, ეტაპობრივად შევძლებთ. ერთ-ერთი პრობლემა, ხეების გადაბელვაა, სხვადასხვა ადგილებში, ვაპირებთ, შევიძინოთ მანქანა, რომელიც გაგვიადვილებს ამ პროცესს და უფრო მობილურს გახდის ჩვენ მომსახურებას.

- რა ცვლილებების განხორციელებას აპირებთ, რითი დაიწყებთ?

–ჯერ აქტიური ცვლილებები არ დაგვიწყია, მოხდება საკადრო ცვლილებები. ეს, რაც შეეხება შიდა სამსახურებრივ საქმიანობას. გამწვანებითი სამუშაოები უკვე დაწყებულია, ნარგავები განსაზღვრული რაოდენობით დაირგვება, ყვავილების დარგვასაც აქტიურად დავიწყებთ. უფრო დიდი პორბლემებია წყლის სისტემებთან დაკავშირებით. ოთხმა სოფელმა მოგვმართა განცხადებით, რომლებიც ითხოვენ სათავე-ნაგებობების გასუფთავებას. ამ კვირაში დავიწყებთ იმ თანამშრომელთა უფლება-მოვალეობების შესწავლასაც, რომლებიც ამ პრობლემებზე იმუშავებენ, შეისწავლიან პრობლემებს და სისტემატურად ითანამშრომლებენ ჩვენთან. ასევე, ჩართული გვეყოლება სპეციალისტიც, რომელიც კვალიფიციურად მიუდგება და შეისწავლის პრობლემებს. ეს ყველაფერი მოხდება ეტაპობრივად და ვეცდებით, იმ ბიუჯეტით, რაც ამ ეტაპზე გვაქვს, მაქსიმალურად ბევრი სოფლის პრობლემა მოვაგვაროთ.

ხელმძღვანელობის მხრიდან, მაქვს იმის დაპირება, რომ მომავალი წლიდან, გამწვანების სამსახური ერთ-ერთი წარმატებული სამსახური უნდა გახდეს და ჩემი მხრივ, პირობას ვაძლევ ჩემს თანამოქალაქეებს, მაქსიმალურად ვეცდები, მათი მოლოდინები გავამართლო.

-რამდენი თანამშრომელი გყავთ ამ ეტაპზე?

–ა(ა)იპ ამ ეტაპზე, 40-მდე თანამშრომელს აერთიანებს, ეტაპობრივად, საჭიროებიდან გამომდინარე, დაემატება ვაკანსიები.

- მოსახლეობა ელოდება გამწვანებულ ქალაქს. მცენარეების დარგვის პროცესი უკვე დაწყებულია. რა სიახლეს უნდა ველოდოთ წელს, განსხვავებულ კულტურებს ხო მარ ამატებთ?

–რაც შეეხება ყვავილების ნერგებს, წელს არაა დიდი რაოდენობით შემოტანილი. ვაპირებთ, სამომავლოდ, გავაკეთოთ სანერგე და საკუთარი ნერგები გამოვიყვანოთ, რაც დიდ დანაზოგს მოგვცემს, როგორც ფინანსურად, ისე დროის კუთხით. აქცენტს ვაკეთებთ მრავალწლიან ნარგავებზეც, ახლადრეაბილიტირებულ სკვერში დაირგო რამდენიმე სახეობის მცენარე, რამაც გაალამაზა ქალაქის იერ-სახე. არ შემიძლია, მადლიერებით და პატივისცემით არ აღვნიშნო, დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის, ნუკრი ცხოვრებაძის დამსახურება და წვლილი ქალაქის გამწვანების საქმეში, მისი შრომა ერთგვარი პასუხისმგებლობა და სტიმულია ჩემთვის.

- როგორ ფიქრობ, რამდენად დიდი გამოწვევაა თქვენთვის ეს სამსახური და რა იქნება თქვენი მიზანი?

–ისეთ სამსახურში ვარ, რომ ვფიქრობ, ამ შესაძლებლობით, ჩემსას და ყველა ხაშურელის ოცნებას ავასრულებ, ხაშური იქნება ერთ-ერთი ყველაზე მწვანე და ჯანსაღი ქალაქი საქართველოში, ამისთვის გავაკეთებ ყველაფერს, მაგალითი ვიქნები ჩემი თანამშრომლებისთვის, მათთან ერთად ვიშრომებ ფიზიკურად, გონებრივად.

- მაგრამ ვთქვათ ისიც, რომ მოსახლეობის ჩართულობა და ხელშეწყობა ძალიან მნიშვნელოვანია საერთო საქმეში. რას ეტყოდით ჩვენ თანამოქალაქეებს?

–მინდა, ვთხოვო ჩემ ხაშურელებს. რაც არ უნდა გავაკეთოთ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მოსახლეობის მხარდაჭერას, დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ არ გავერთიანდით, ჩვენი ქალაქის საერთო ინტერესის ირგვლივ, არაფერი გამოვა. სპორტიდან მოვდივარ, ახალგაზრდა მოჭიდავეები გაერთიანდებიან ჩვენი ქალაქის მწვანე მომავლის შესქმნელად, დავრგავთ ნარგავებს, ერთად მივცემთ მაგალითს მოსახლეობას.

თ. ჯავახიშვილი

# დაბა სურამში, ბაიანთხევის დასახლებაში, გზის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს

ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, ბაიანთხევის დასახლებაში მიმდინარე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი გაეცნო. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 943 098 ლარს შეადგენს.

„ბაიანთხევს ყოველწლიურად ბევრი დამსვენებელი სტუმრობს, შესაბამისად მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურა იყოს გამართული და სრულად მოწყობილი. ეს ტურიზმის განვითარებას კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს. აღნიშნულ ტერიტორიაზე, ამ ეტაპზე მიმდინარეობს გრუნტის მოჭრა, ფხვიერი ქანების შეტანა, რათა შემდგომ უკვე განხორციელდეს ბეტონის საფარის დაგება.“- აღნიშნა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

# ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბახტევში გზის სამშენებლო სამუშაოები მალე დასრულდება.

პროექტის ფარგლებში დაიგო ორი ფენა ასფალტის საფარი, მოეწყო გზის დამცავი კედლები და გაბიონები, ასევე, სანიაღვრე არხები და მილ-ხიდები, დაიხაზა საგზაო მონიშვნები და დაიდგა საგზაო ნიშნები.

სამუშაოების მიმდინარეობას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი მერის მოადგილესთან ზვიად ქურდაძესთან ერთად გაეცნო.

„სოფელ ნაბახტევში დღემდე საგზაო ინფრასტრუქტურა არ არსებობდა, რაც გადაადგილებისას სირთულეს წარმოადგენდა. სამუშაოების დასრულების შემდეგ მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურით 900- ზე მეტი ადგილობრივი ისარგებლებს, რაც მათ საყოფაცხოვრებო პირობებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. “ - აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

პროექტი რეგიონული განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 1 840 000 ლარს შეადგენს.

# როგორი უნდა იყოს თანამედროვე მუზეუმი

უკვე კარგა ხანია, საზოგადოებაში დგას საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად უწყობს ნაბიჯებს მუზეუმი თანამედროვე დროის ძახილს, ხომ არ ჩამორჩა ეპოქის მაჯისცემას და ა. შ. თავად მუზეუმელებიც ხშირად ვფიქრობთ, როგორ გავათანამედროვოთ ძველი მუზეუმები, რომელშიც, გარდა იმისა, რომ საცავებში დავანებული და გამოფენებზე წარმოდგენილია კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ნიმუშები, საზოგადოების აქტიური შეკრების ადგილიც არის და ხშირ შემთხვევაში, აქტუალური საკითხების განსჯა-კამათისა და ხალხისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებების წარმოჩენისაც.

ხშირად ისმის კითხვა, მაინც როგორი უნდა იყოს თანამედროვე მუზეუმი. აღნიშნული საკითხი მწვავე განხილვის საგანი გახდა შესაბამისი სფეროს ადამიანებისთვის მთელ მსოფლიოში. აღსანიშნავია, რომ ძველი ყაიდის მუზეუმი ჯერ კიდევ ძალიან კარგი მუზეუმია, განსაკუთრებით, სამიზნე აუდიტორიისთვის, რადგან ის მათთვის ძალიან მიმზიდველი ადგილია ბევრი თვალსაზრისით. ადამიანები აქ მოდიან, ნახულობენ შესაბამის გარემოს მათი უნარებისა და ცოდნის შესაბამისად და ეს ხდება მუდმივად. რაღაც ეტაპზე, მუზეუმი მათთვის უკვე საყვარელ სავიზიტო ადგილად იქცევა. მხოლოდ, ძველი ყაიდის მუზეუმის მთავარი და ძირითადი პრობლემა ისაა, რომ სამიზნე აუდიტორია საზოგადოების მხოლოდ განათლებული ნაწილით შემოიფარგლება და არ არის ორიენტირებული ნაკლებად განათლებული ადამიანების შესაძლებლობებსა და მოთხოვნილებებზე, რაც აღარ შეესაბამება დღევანდელობის ზოგად სულისკვეთებას. თანამედროვე დროის ძახილია, რომ რაც შეიძლება მეტ ადამიანს, მეტი სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებს სხვადასხვა მიმართულების უნარ-ჩვევებით, შეუწყოს ხელი განვითარებაში, მისცეს შანსი წინ წასვლისთვის და მეტიც, თამაშ-თამაშით გაამდიდრებინოს შინაგანი სამყარო, აათვისებინოს ახალი ცოდნა და უნარები.

თანამედროვე მუზეუმის ძალისხმევა მიმართულია არა მხოლოდ ტრადიციული სამუზეუმო ფუნქციების შესრულებისკენ (კოლექციების შეგროვება, დაცვა, შენახვა, აღრიცხვა, სამეცნიერო კვლევა, პუბლიკაცია), არამედ იქითაც, რომ მუზეუმი გახდეს არაფორმალური განათლების აქტიური კერა და არა მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობისა და მეცნიერების პოპულარიზაციის მეშვეობით. თანამედროვე მუზეუმი აქტიურად ეხმარება საზოგადოებას კრეატიული უნარ-ჩვევების განვითარებაში, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში, ცდილობს გაამრავალფეროვნოს და გააღრმაოს საზოგადოების ცნობიერება და ამასთანავე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის ხელს უწყობს ქვეყნის, თუ რეგიონების ეკონომიკურ განვითარებას. მისი ყურადღება მიმართულია საზოგადოების იმ სეგმენტების ცოდნისა და უნარების განვითარებაზე, რომელიც განსაკუთრებით საჭიროებს დახმარებას 21-ე საუკუნის გამოწვევებთან გასამკლავებლად. ამასთანავე, თანამედროვე მუზეუმი ტრადიციული სამიზნე აუდიტორიის, განათლებული ფენის ინტერესებსა და მოთხოვნილებებსაც ძველებურად ითვალისწინებს.

ახალი ტიპის მუზეუმისთვის განსაკუთრებულია მისი დამოკიდებულება კოლექციების ინტერპრეტაციისა და აუდიტორიისთვის მათი მოწოდებისადმი. ის ცდილობს განსხვავებული სამეცნიერო კონცეფციების წარმოჩენას, ასევე, მრავალმხრივი მიდგომის დანერგვას ნებისმიერი თემის, საკითხის განხილვისას, ინტერდისციპლინური ხედვა და შემოქმედებითი აზროვნების მეთოდების გამოყენება კი, მისი საქმიანობის საფუძველთან ერთად, აუდიტორიასთან ურთიერთობის განმსაზღვრელიც არის. თანამედროვე მუზეუმი მუდმივად ხელს უწყობს თანამშრომლების, აუდიტორიის და ზოგადად, საზოგადოების მიერ ახლის ძიებას, დაფიქრებას და მსჯელობას, ხოლო ახალი ტექნოლოგიური საშუალებებით გაჩენილ შესაძლებლობებს ის აუდიტორიასთან მჭიდრო კონტაქტისთვის იყენებს. ამის შედეგად ფართოვდება და მრავალფეროვანი ხდება ორმხრივი კომუნიკაცია.

ძველი მუზეუმიდან ახალ მუზეუმად გარდაქმნა და ახლებურად არსებობა მუზეუმის თანამშრომელთა მუდმივ ძალისხმევას მოითხოვს, მით უფრო, რომ მის ფუნქციებს დაემატა კიდევ ერთი და ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია: კოლექციების ხელმისაწვდომობა საზოგადოების წარმომადგენლებისთვის. სხვა პრობლემებთან ერთად, აქ დგას ერთიც: ახალგაზრდა კადრების რესურსის არარსებობა. საჭიროა, მუზეუმების კოლექტივების გაახალგაზრდავება, რასაკვირველია, ხანდაზმული თანამშრომლების ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების გათვალისწინებით, რათა ღირსეულად მიმდინარეობდეს თაობათა ცვლა. თუმცა, ახალგაზრდებისთვის, რაც არ უნდა მოტივირებულები იყვნენ მუზეუმში სამუშაოდ, ამრეკლავად მოქმედებს ის ძალიან მწირი სახელფასო ანაზღაურება, რაც, დღესდღეობით, არამარტო მათ, ჩვენც, სამუზეუმო სფეროში უკვე დასაქმებულებსაც, ერთერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად გვესახება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუზეუმის წარმატებული მუშაობა შეუძლებელია, თუ მისი თანამშრომლების დამოკიდებულება არ სცილდება სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების ფარგლებს, თუ მათ არ უყვართ თავისი სამუშაო და არ არიან თავიანთი მუზეუმის გულშემატკივრები. თანამშრომელთა ღრმა და ძლიერი ემოციური ბმა მუზეუმზე მნიშვნელოვნად განაპირობებს მუზეუმის კარგ მუშაობას. ამიტომაც, მუზეუმები თითქმის ყოველთვის დაკომპლექტებულია ერთგული და მზრუნველი თანამშრომლებით, რომლებიც შეყვარებულები არიან სამუზეუმო საქმიანობაზე და ნაკლებად ცდილობენ თავის გამოჩენას. განსაკუთრებით, ხაზგასასმელია წინა ხაზის თანამშრომელთა (გიდი, საგამოფენო დარბაზის მეთვალყურე, მოლარე, საგანმანათლებლო პროგრამაზე პასუხისმგებელი პირი და სხვ.) დამოკიდებულება თავიანთი მოვალეობებისადმი, რადგან თუ ისინი უხეშად დახვდებიან მნახველს, ძალიან დიდი ძალისხმევის შედეგად მოწყობილი გამოფენაც კი თავის ხიბლსა და მნიშვნელობას დაკარგავს. აქვე ხაზგასასმელია, რომ მომავლის მუზეუმში მნიშვნელოვანია გუნდი და არა ცალკეული თანამშრომელი, ერთობლივი მუშაობა და არა ინდივიდების წარმოჩენა მუშაობისას.

თანასწორი უფლებები, გამჭვირვალობა, საზოგადოების ნებისმიერი სუბიექტის და მთლიანად საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა ის მთავარი სულისკვეთებაა, რომლითაც იქნება გამსჭვალული მომავლის მუზეუმი. მუზეუმი ხომ, დაარსებიდან, ის ინსტიტუციაა, რომელიც მოწოდებულია საზოგადოების განვითარებისკენ. მუზეუმის საქმიანობის საფუძვლად, სწორედ, ეს კეთილშობილი იდეა იყო და რჩება კიდეც. თუმცა, მუზეუმს ყოველთვის უწევდა და მოუწევს თავისი საქმიანობის გამართლება საზოგადოების თვალში, რადგან ის შესანახად ძალიან ძვირი დაწესებულებაა (ხარჯები ექსპონატების დაცვის უზრუნველსაყოფად, კომუნალური გადასახადები და ა. შ.), რომლის შენახვაზე დახარჯული რესურსებიც, ძირითადად, გრძელვადიანი შედეგების მომტანია და ამის გამო, ამგვარი ხარჯების აუცილებლობა ყოველთვის და ყველასთვის გასაგები არ და ვერ არის. ამ გონივრული ასპექტის გამო, მუზეუმი ყოველთვის ცდილობს, არ ჩამორჩეს საზოგადოებისთვის აქტუალურ, ზოგად მოთხოვნილებებს, ასევე, აუხსნას გადაწყვეტილებების მიმღებ სუბიექტებს, ინდივიდუალურ და ინსტიტუციურ დონეზე, იმ სარგებლობის შესახებ, რაც მას შეუძლია მოუტანოს საზოგადოებას.

მუზეუმელები ვაცნობიერებთ ძველი სტილის მუზეუმიდან ახალზე გარდამავალი ეპოქის თავისებურებებს, რაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ძალიან ბუნებრივად ხორციელდება. მზად ვართ ეპოქის შესაბამისი ცვლილებებისთვის, რათა მუზეუმი უფრო აქტიურად ჩადგეს ადგილობრივი თემის სამსახურში და გახდეს უმნიშვნელოვანესი კულტურული ჰაბი.

მზია ლობჟანიძე,
ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის
ფონდების მთავარი მცველი

## ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, 13 ივნისს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა

საბჭომ სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხები განიხილა, მათ შორის შშმ პირებისთვის გარემოს გაუმჯობესებისა და შენობების ადაპტირების საკითხი, მათი დასაქმების ხელშეწყობა.

აღსანიშნავია, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტი ჩართულია საზოგადოება „ბილიკის" Society Biliki და სლოვაკური ორგანიზაცია TENENET-ის ერთობლივ პროექტში „შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობა და შრომის პოლიტიკის ოპტიმიზაცია საქართველოში". აღნიშნულ პროექტში ჩართულები არიან საკმაოდ კომპეტენტური, პროფესიონალი ტრენერები სლოვაკეთიდან და საქართველოდან, ასევე წარმომადგენლები სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებიდან, მუნიციპალიტეტების სოციალური სამსახურების, ბავშვთა დაცვისა და ზრუნვის განყოფილების, სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის, დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს და შშმ პირებთან მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. აღნიშნული შეხვედრებიდან მიღებული ცოდნა და გამოცდილება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საბჭოს თავმჯდომარემ, მერიის, ბავშვთა და ოჯახის სოციალურმა მუშაკმა-თინათინ კაპანაძემ, საბჭოს წევრებს გაუზიარა და გააცნო ის პროგრამები, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას აქვს დანერგილი, როგორც ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების, ასევე ახალგაზრდული პროგრამების მიმართულებით, სადაც გათვალისწინებულია გარკვეული აქტივობები და სერვისები.

აღნიშნული პროგრამები გამოქვეყნებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე https://khashuri.gov.ge/

# ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20, 21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6, 7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21)

ხაშური-ზესტაფონის სარკინიგზო მაგისტრალი ყველაზე რთულ უბნად ითვლებოდა საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ამ სირთულეს სურამის უღელტეხილი ქმნიდა, რომელიც მეტად მაღალქანობიანი ვაკისითა და მცირერადიუსიანი მრუდეებით ხასიათდება. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია ითქვას, რომ 150-170 მეტრამდე რადიუსიანი მრუიდეები უღელტეხილზე შეადგენს მისი საერთო სიგრძის 21,8%-ს, 170-200 მეტრიანი მრუდეები – 13,8%-ს, 200-250 მეტრიანი-18,3%-ს, 250-300 მეტრიანი-51%-ს. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მრუდები უღელტეხილის 60-%-ს შეადგენს.

300-350 მეტრიანი მრუდეებია 21,1%, ხოლო 560 და მეტი მეტრიანი მრუდეები – 18,9%.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის საკითხი XIX საუკუნის ბოლოს დადგა დღის წესრიგში. კერძოდ, 1899 წელს წამოაყენეს წინადადება უღელტეხილის ელექტროფიკაციის შესახებ, გაითვალისწინებდნენ იმავე წელს ბორჯომში ახლადაშენებული ჰიდროელექტრო-სადგურიდან მიღებული ელექტროენერგიის გამოყენებას, მაგრამ ეს პროექტი მაშინ არ განხორციელებულა.

1910 წელს, პეტერბურგში, ჩამოყალიბდა სურამის უღელტეხილზე ელექტროწევის სპეციალური კანტორა, რისთვისაც დაპროექტების მომდევნო წელს ადგილზე გამოიგზავნა სპეციალისტთა ჯგუფი, რომლებმაც აწარმოეს უღელტეხილის კვლევა და მისი ელექტროფიკაციის გეგმაც შეადგინეს მიხაილოვო (ხაშური) – ყვირილას უბნისათვის. ეს პროექტი დამტკიცებული იქნა ინჟინერთა საბჭოს მიერ 1911 წელს. ამ პროექტით გათვალისწინებული იყო ქუთაისის მახლობლად მდ. რიონზე ელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც უზრუნველყოფდა უღელტეხილს ელექტროენერგიით. რკინიგზის განვითარების პერსპექტივა, უახლოეს პერიოდში ტვირთბრუნვას ზრდა, დღის წესრიგში აყენებდა უღელტეხილის ელექტროფიკაციის აუცილებლობას. ჯერ 1913 წლის 8 ივლისს, ხოლო შემდეგ 25 ნოემბერს, რკინიგზის სამმართველომ ინჟინერთა საბჭოს წარუდგინა სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის პროექტი. ინჟინერთა საბჭომ 1914 წლის 26 და 29 აპრილს განიხილა პროექტი და მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც იმავე წლის 31 მაისს გზათა მიმოსვლის სამინისტრომ დაამტკიცა. შესაძლებელი ხდებოდა სამუშაოების დაწყება, მაგრამ პირველმა მსოფლიო ომმა, შემდეგ კი სამოქალაქო ომმა ხელი შეუშალა პროექტის განხორციელებას.

ამ უბნის ელექტროფიკაციის საკითხი კვლავ დღის წესრიგში დადგა 20-იან წლებში. 1925 წლის სექტემბერში, სსრკ შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება შემუშავებულიყო სსრ კავშირის რკინიგზის ელექტროფიკაციის გეგმა. 1926 წლის 7ივლისს საბჭომ დაამტკიცა პირველი რიგის რკინიგზის ელექტროფიკაციის ჩატარების სატიტულო სია. ამ სიის მიხედვით ელექტრო წევაზე უნდა გადასულიყო 372 კილომეტრი რკინის გზა. მათ შორის გათვალისწინებული იყო სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის სამუშაოების განხორციელებაც.

20-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოში შეიქმნა ენერგეტიკული ბაზა (ზემო ავჭალის ჰიდროელექტრო სადგური და სხვა), რამაც დღის წესრიგში დააყენა ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროფიკაციის დაჩქარების საკითხი.

1927 წელს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსთან, შეიქმნა სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის ბიურო, რომელიც აწარმოებდა დაპროექტების სამუშაოებს და სხვა. იმავე წლის 1 აპრილს დაიწყო სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის სამუშაოები. იქ სადაც გათვალისწინებული იყო წევის ქვესადგურების მშენებლობა (ხაშური, მოლითი, ზესტაფონი) დაიწყეს მუშათა საცხოვრებელი სახლებისა და დროებითი ნაგებობების მშენებლობა.

ამ დროს ჩამოყალიბდა მშენებლობის ორი რაიონი. მშენებლობის პირველი ცენტრი იყო ხაშური, რომელიც უზრუნველყოფდა ელექტროგადამცემი ხაზის აგებას ზემო ავჭალის ჰიდროელექტრო-სადგურიდან უღელეტხილამდე, აგრეთვე სამოქალაქო ნაგებობათა აშენებას ხაშურსა და გორში. მშენებლობის მეორე ცენტრი იყო ზესტაფონი. იგი უზრუნველყოფა ელექტროგადამცემი ხაზის აგებას რიონჰესიდან უღელტეხილამდე და სამოქალაქო ნაგებობეის აგებას მოლითსა და ზესტაფონში. ამ სამუშაოების პარალელურად კეთდებოდა რიონჰეს-ზაჰესის ელექტროგადამცემი ხაზის სამონტაჟო სამუშაოები.

ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა მეტად რთულ პირობებში მიმდინარეობდა. უგზოობა, მაღალი ქანობები ხშირად აიძულებდა მშენებლებს ეს ხაზები აეშენებინათ რკინიგზიდან 5-6 კმ-ის დაშორებით. უღელტეხილზე სისტემატურად უხდებოდათ ტყის მასივის გაკაფვა და ახალი გზების მშენებლობა. სულ აგებული იქნა 50 კმ სიგრძის ასეთი გზები. რკინის კონსტრუქციები მთის სიმაღლეებზე აჰქონდათ ხარებისა და სხვა ცოცხალი ძალის გამოყენებით.

1928 წლის დეკემბერში დაიწყეს ანძების აწყობა და დაყენება მომზადებულ ფუნდამენტზე. სულ 196 კმ-ზე დაყენებული იქნა 1020 ანძა.

საკონტაქტო ქსელის დაკიდვა დაიწყეს 1930 წელს.

სარკინიგზო ხაზის ელექტროფიკაციის პიონერები,–სამუშაოთა მწარმოებელი ე. ჩიქოვანი და მისი თანაშემწეები, ინჟინერი ვ. ჭანკვეტაძე და მონტიორი გ. გუგუშვილი ხშირად საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად მუშაობდნენ. მათ მოამზადეს სამონტაჟო მატარებელი, რომელიც შედგებოდა ამერიკული ვაგონისაგან, მასში მოთავსებული იყო სახელოსნო, მის სახურავზე, რომელსაც გვერდები გაუკეთეს, დადგეს სპეციალური სადგამები. ბაქანზე კი დააწყეს საკონტაქტო ქსელის ბარაბნები. ისინი ასწავლიდნენ მუშებს, თუ როგორ უნდა ეწარმოებინათ სამუშაოები. ამ მიზნით თვითონ ე. ჩიქოვანი და ვ. ჭანკვეტაძე ადიოდნენ ლეიტერებზე და უჩვენებდნენ მათ თუ როგორ და რა უნდა გაეკეთებინათ. ასეთმა მონდომებამ თავისი გაიტანა და მალე მომზადდა 150 მემონტაჟე, რომელთაგან 60 უკვე კვალიფიციური მუშაკი იყო.

მემონტაჟეებს განსაკუთრებული სიძნელე სურამის გვირაბის დამონტაჟებისას შეხვდათ. ამ დროს გვირაბი ძალზე სუსტად იყო განათებული ნავთის ფარნებით. ელექტროფიკატორებმა, გვირაბში რომ შეექმნათ მუშაობისათვის ნორმალური პირობები, მოაწყეს სპეციალური მატარებელი. იგი შედგებოდა ორთქლმავლის, ვაგონ-ელექტროსადგურისა და სამონტაჟო ვაგონისგან. ამ მატარებელზე მოაწყეს ძლიერი პროჟექტორები. მატარებლის ორივე მხარეს მოათავსეს 3-3 ლეიტერი, თუმცა განათება მხოლოდ წინა ლეიტერებს ჰქონდათ. ე.ი. მუშაობა თითქმის მაინც სიბნელეში წარმოებდა. ამასთან, ორთქმავლის მიერ გამოშვებული კვამლი ძალზე ცუდად მოქმედებდა მემონტაჟეებზე. მიუხედავად ამისა, მთელი 4 კილომეტრიანი გვირაბის დამონტაჟება დამთავრდა 42 საათში.

ელექტროფიკაციის სამუშაოები, პარალელურად სურამის უღელტეხილზე დაიწყო გზების რეკონსტრუქციის სამუშაოები. დაიწყეს მძიმე ტიპის რელსების დაგება. ამასთან ერთად, წესრიგში იყო მოსაყვანი 4 უგაბარიტო ხიდი, დასადაბლებელი იყო ორი მცირე გვირაბის ვაკისი.

1931 წლის აგვისტოში დამთავრდა ხაშურის წევის ქვესადგურის მშენებლობა. დაიწყეს საელმავლო დეპოს შენობის აგება.

მშენებელთა შორის მალე დაიწყო სხვადასხვა ინიციატივის წამოწყება. იქმნებოდა დამკვრელური ბრიგადები, ინერგებოდა რაციონალიზატორული წინადადებები, ბრიგადებს შორის ინერგებოდა სოციალისტური შეჯიბრებები და სხვა შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციისთვის ბევრი კარგი საქმე გააკეთეს ლოხვიცკიმ, ვ. ცუცქირიძემ, კობახიძემ, ნ. შირინმა და სხვებმა.

1931 წლის ოქტომბერში შედგა დამკვრელთა შეკრება, სადაც საუკეთესო ბრიგადებისთვის დაწესებული წითელი დროშა გადაეცა იამანიძის ბრიგადას. დამკვრელურმა ბრიგადებმა გადაწყვიტეს მომავალი ზამთრის პერიოდში გაეგრძელებინათ მუშაობა, თუმცა მძიმე პირობებში მუშაობის გამოცდილება მათ არ გააჩნდათ. მიუხედავად ამისა, მარტო 1932 წლის იანვარში მათ დააბეტონეს და დადგეს 146 რკინის ანძა რკინიგზის ხაშურის სადგურში.

ამ სამუშაოების პარალელურად, დაჩქარებით მიმდინარეობდა სხვა სამუშაოები, ხაშურში, ზესტაფონსა და მოლითში ასხამდნენ ბეტონის ფუნდამენტებს წევის ქვესადგურების მოწყობილობათა დასამონტაჟებლად. ამ სამუშაოების შესრულებაში გამოირჩეოდნენ ო. გოგოლაძე, არღუნაშვილი, კიკნაძე და სხვები. ყოველი ბრიგადა მუშაობდა 15-16 საათის განავლობაში.

ზამთრის სუსხისა და ცუდი ამინდის გამო, განსაკუთრებით გაჭირდა ლიხის სადგურში საკონტაქტო ქსელის დაკიდვის სამუშაოები. ამ სამუშაოებს სათავეში ჩაუდგნენ ინჟინრები ს. ჩიქოვანი, ვ. მდივანი და ტექნიკოსი გ. გუგუშვილი. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს სამუშაოები ვადაზე ადრე იქნა დამთავრებული.

ასეთი პირობების მიუხედავად, სურამის უღელტეხილის მემონტაჟეებმა საკუთარი საშუალებებისა და რეზერვების გამონახვით, გასწიეს 25 ათასი მანეთის ეკონომია, რის ხარჯზეც უზრუნველყვეს ხაშური-სურამის გადასარბენის ელექტროფიკაციის სამუშაოების ჩატარება.

1932 წლის დასაწყისისთვის უკვე მზად იყო ბაზა წევის ქვესადგურებისა და საელმავლო დეპოსთვის, მაგრამ არ იყო საჭირო მოწყობილობები. ზემდგომი ორგანოების საქმეში ჩარევის შემდეგ დავალება მიეცა ქარხანა „დინამოს“ დაეწყო წევის ძრავების მოემზადებინა. დავალება მიეცა აგრეთვე კოლჩუგინსკის ორჯონიკიძის სახელობის ქარხანას. მაისის თვეში ქარხნებმა შეასრულეს ეს დავალება.

1932 წლის მარტში დაიწყო ელექტროგადამცემი ხაზების მონტაჟი. სამუშაოთა მწარმოებლად დაინიშნა ანდრო გეგეშიძე, რომელმაც საქმიანობა დაიწყო უბრალო მანტიორობიდან. მას ეხმარებოდნენ ინჟინრები კ. ფანცხავა და ა. ვორინინი. ორი თვის დაძაბული მუშაობის შედეგად დამთავრდა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა ზაჰესიდან ზესტაფონამდე.

გაზეთი „კომუნისტი“ 1932 წლის 2 ოქტომბერს აღნიშნავდა, ანდრო გეგეშიძე იყო მეტად ენერგიული და საქმიანი მუშაკი. მას შეეძლო 20 საათის განმავლობაში ემუშავა გვირაბში დასვენების გარეშე. იგი იყო ნოვატორული, სულის ადამიანი, მრავალი რაციონალიზატორული წინადადების ავტორი.

როდესაც მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზს - რიონჰეს-ზაჰესს მიეჭა ანდრო გეგეშიძის სახელი, სამონტაჟო სამუშაოები თითქმის დამთავრებული იყო. 1932 წლის 27 სექტემბერს ანდრო გეგეშიძე სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკულად დაიღუპა. (იგი მატარებლის ქვეშ ჩავარდა).

1932 წლის აპრილში ელექტროფიკატორები შეუდგნენ წევის ქვესადგურების დამონტაჟებას. აპარატურებისა და მანქანების ერთი ნაწილი და 2 მოტორ-გენერატორი მიღებული იქნა იტალიიდან. თითოეულ მოტორ-გენერატორს 6300 ვოლტი ძაბვა ჰქონდა. იტალიიდან მემონტაჟეების დაგვიანების გამო. ქვესადგურებში მოყობილობათა მონტაჟს აწარმოებდნენ მოსკოველი სპეციალისტები. მათ დახმარებას უწევდნენ ადგილობრივი ელექტრიკოსებიც. მალე იტალიიდან ჩამოვიდნენ ინჟინერი ტრავაზინი და მემონტაჟე ვანაკორე.

ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროფიკაციის ისტორიაში დიდი მოვლენა იყო 1932 წლის 10 ივნისს ბათუმის პორტში ამერიკიდან პირველი ელმავლების მიღება. ამერიკულმა ფირმებმა საქართველოში გამოგზავნეს ინჟინრები ბელოუზი და ვილსონი.

1 ივლისს. ზაჰეს-ხაშურის 110 კილომეტრიან გადამცემ ხაზში გაშვებული იქნა ძაბვა. საკონტაქტო ქსელში, ე\წევის ქვესადგურის საშუალებით ძაბვა გაშვებული იქნა 1932 წლის 1 აგვისტოს. ამ დღიდან დაიწყო სასინჯი მატარებლების გაშვება.

იმ დღეებშივე დამთავრდა მოლითის წევის ქვესადგურის მონტაჟიც.

საბჭოთა კავშირში პირველი მაგისტრალური უბანი – სურამის უღელტეხილი უკვე მზად იყო.

1932 წლის 16 აგვისტოს. ხაშურში შეიკრიბნენ სამამულო ელექტროფიკაციის პიონერები, მეცნიერები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, მუშები... ამიერკავკასიის რკინიგზის დირექორმა პოზდეევმა გაჭრა წითელი ლენტი... ელმავალმა ხაშურიდან ზესტაფონამდე წაიყვანა პირველი სამგზავრო მატარებელი, რომელიც 13 ვაგონისგან შედგებოდა. მატარებლის სიჩქარე საათში შეადგენდა 40-45 კმ-ს.

ელექტროწევაზე მოძრაობის გადაყვანამ ძირეულად გარდაქმნა სურამის უღელტეხილზე მატარებელთა ექსპლუატაცია. მანამდე 1050 ტონიანი მატარებლის ხაშურიდან ზესტაფონამდე გადაყვნისთვის საჭირო იყო „ე“ სერიის 4 ორთქლმავალი, თანაც მოძრაობდნენ ძალიან ნელა. ძირითადად გამოყენებული იყო სამმაგი და ხანდახან ოთხმაგი წევაც ამ უკანასკნელის დროს ორი ორთქლმავალი დგებოდა თავში, ერთი ბოლოში, ხოლო ერთიც შუაში.

ელმავლებმა უღელტეხილზე 2,5 ჯერ გაზარდეს სიჩქარე. უბნის გამტარიანობა კი გაიზარდა 71%-ით 18 ელმავალმა შეცვალა 46 ორთქლმავალი.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

# დავით ჩიქოვანი: ბოლო ერთი კვირაა, ხაშურში, კორონავირუსის შემთხვევა არ დაფიქსირებულა

*ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში,კოვიდ -19 აქტუალობას კარგავს. აღარ ვსაუბრობთ და აღარ გვესმის აღმავალ და დაღმავალ კორონა ვირუსის ტალღებზე, დადებითი შემთხვევების მატებასა და კლებაზე, გადატვირთულ სტაციონარებზე და საბედნიეროდაც. ხაშურის მუნიციპალიტეტში კოვიდ 19-თან დაკავშირებულ ეპიდსიტუაციაზე ხაშურის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი დავით ჩიქოვანი საუბრობს, რომელიც გასულ სეზონს ჩვენი გაზეთის აქტიური რესპონდენტის სტატუსს დამსახურებულად ინარჩუნებდა.*

- როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში და მათ შორის ხაშურის მუნიციპალიტეტში, კორონავირუსის ინფექციამ განსაკუთრებით იკლო, მოიკლო ინფიცირების შემთხვევების რაოდენობამაც. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში,ხაშურის მუნიციპალიტეტში არ დაფიქსირებულა ვირუსის არც ერთი დადებითი შემთხვევა. მიმდინარე თვის განმავლობაში, იყო მხოლოდ ერთეული უსიმპტომოდ მიმდინარე შემთხვევა,გეგმიური ტესტირების დროს გამოვლენილი და გავრცელებას ადგილი არ ჰქონია. ასეთი ეპიდსიტუაციის მიზეზი,ალბათ არის ის,რომ ვირუსი დასუსტებულია საკმაოდ და იმდენად გადამდები და ინფიცირებადი აღარ არის, როგორც წინა პერიოდში.

- სავარაუდოდ,ორი ფაქტორი განაპირობებს კორონავირუსის გავრცელების ინტენსიურობისა და ინფიცირების შემთხვევების რაოდენობის კლებას. ერთი, რომ მოსახლეობის ნაწილი, დაახლოებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში 40 პროცენტი აიცრა, და მეორე ის, რომ ადამიანების დიდმა ნაწილმა ვირუსის ინფექცია გადაიტანა და ამ გზითაც ჩამოყალიბდა იმუნური ფენა. პლიუს ამას, თვითონ ვირუსიც შედარებით დასუსტებულია.

- კვლავ მიმდინარეობს აცრები ვაქცინაციისათვის საგრძნობლად შემცირებული მოსახლეობის მომართვიანობის ფონზე. ამ ეტაპზე,იმუნიზაციას მიმართავენ მხოლოდ ის პირები, ვისაც საზღვარგარეთ უნდათ გასვლა.

- რაც შეეხება რეგულაციებს ჩვენს ქვეყანაში, დარჩენილია მხოლოდ ორი რეგულაცია. ერთი, რომ სამედიცინო დაწესებულებებში ნიღბის ტარება სავალდებულოა და მეორე- საზოგადოებრივ ტრანსპორტში ნიღბის ტარების აუცილებლობა. სხვა ყველა რეგულაცია მოხსნილია. სამაგიეროდ, რეგულაციებისა და ნიღბის მოხსნამ, სხვა ინფექციებს წამოიღო. არის ადენოვირუსები, რომლებიც იგივე სიმპტომებით მიმდინარეობს თითქმის, როგორითაც კორონა ვირუსი, მოდიან ტესტირებისათვის, მაგრამ კოვიდ-19 არ უდასტურდებათ. ამ ეტაპზე,ქვეყანაში ტრიალებს სეზონური ვირუსი,რაც იმდენად საშიში არ არის.

- არის ტესტირებებზე შემცირებული მომართვიანობა. მოგვმართავს მხოლოდ მოსახლეობის ის ნაწილი, რომლებსაც დიდი ხნის განმავლობაში, რამდენიმე დღე აქვთ გარკვეული, კოვიდ ვირუსისათვის დამახასიათებელი სიმპტომები.

- გეგმიური ტესტირებები მიმდინარე კვირამდე ტარდებოდა. ვატარებდით საბავშვო ბაღებისა და სკოლების პედაგოგებისტესტირებას გეგმიურად და, სხვათა შორის, სწორედ, ამ დროს ვლინდებოდა თითო- თითო დადებითი შემთხვევა. ამ ეტაპზე სასკოლო პროცესი დასრულდა და ალბათ იქნება ახალი განკარგულება, როგორ გაგრძელდება გეგმიური ტესტირებები.

- რაც შეეხება მაიმუნის ყვავილს,როგორც ვიცით,ევროპაში გავრცელდა ეს ვირუსი. ინფექცია წარმოადგენს გარკვეულ შუალედს ყვავილის დაავადებასა და ჩუტყვავილას შორის. კონტაქტური და ჰაერწვეთოვანი გზით გადაეცემა. უმეტეს შემთხვევაში, ჩუტყვავილასთან შედარებით, არ არის მძიმე მიმდინარეობით. ძირითადად, ვლინდება გამონაყარით. გადამდებია და იზოლაცია უნდა მოხდეს დაავადებული პირის დაახლოებით 21 დღე. რამდენიმე დღის წინ, ვირუსის ერთი შემთხვევა დადასტურდა საქართველოშიც იმ ოთხი შემთხვევიდან, რომელსაც იკვლევდა დაავადებათა ეროვნული ცენტრი. ეს არის მსუბუქად მიმდინარე ვირუსი ახალგაზრდა მამაკაცში,რომელსაც ჰქონდა მოგზაურობის ისტორია საზღვარგარეთ. იგი იზოლირებულია, ჩატარებულია მისი კონტაქტების კვლევა და, ჯერ-ჯერობით, სხვა შემთხვევა არ გამოვლენილა. ჩვენ გვაქვს მიღებული პროტოკოლი დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან, რომ ყველანაირი გამონაყარით მიმდინარე დაავადებისას ეპიდკვლევა ჩავატაროთ. გაფრთხილებული არიან, როგორც ოჯახის ექიმები, ასევე საავადმყოფოები, რომ მოგვაწოდონ ინფორმაცია საეჭვო შემთხვევების შესახებ მყისიერად, რა დროსაც ჩვენ გვაქვს უფლება გავაკეთოთ ანალიზი და გადავგზავნოთ დაავადებათა ეროვნულ ცენტრში გამოკვლევებისათვის.

- ალბათ, მოსახლეობას ვეტყვი ისევ იმას, რომ დავიცვათ რეგულაციები. კი, დღეს არ არის კორონავირუსის მრავალი შემთხვევა, რაც შესაძლოა დიდ საფრთხეს არ წარმოადგენდეს კორონავირუსის გავრცელების, მაგრამ კორონავირუსი ჯერ ჩვენგან არ წასულა,არსებობს და უნდა ვნახოთ როგორი გვექნება შემოდგომა, როდესაც არის ვირუსის გამწვავების პერიოდები. ამიტომ ის რეგულაციები,რასაც ჩვენ ჯანდაცვის სამინისტრო და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია გვაწვდის, აუცილებლად უნდა დავიცვათ. უნდა ჩავიტაროთ ვაქცინაცია (ვისაც არ აქვს) განსაკუთრებით ქრონიკული დაავადებების მქონე პირებმა და რისკფაქტორების მატარებელმა ადამიანებმა.

თ. ახალკაცი

# მოქალაქეთა საყურადღებოდ!

მუნიციპალიტეტის მერიას არაერთმა მოქალაქემ მომართა შეკითხვით ე.წ. შუშის ქარხნის გადასახვევის მიმდებარე ხიდის და ამავე მონაკვეთზე შემოვლითი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, შედგა კომუნიკაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს, თენგიზ ჩიტიაშვილსა და საგზაო დეპარტამენტის წარმომადგენელს შორის.

მიღებული ინფორმაციით, ხიდის რეაბილიტაცია დასრულდება სამ თვეში. სისტემატურ რეჟიმში წარიმართება შემოვლითი გზის დაზიანებული მონაკვეთების შევსება ნაფრეზი ასფალტო-ბეტონითა და ხრეშით. ხიდის რეაბილიტაციის შემდგომ კი შემოვლითი გზაც სრულად რეაბილიტირდება. ამ ეტაპზე შემოვლითი გზის სრულ რეაბილიტაციას აფერხებს ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში გზა უკიდურესად დავიწროვდება და მისი ისედაც შეზღუდული გამტარუნარიანობა კიდევ მეტად შემცირდება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია ბოდიშს იხდის შექმნილი უხერხულობისთვის.

ინფორმაციას სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ პარიოდულად განვაახლებთ.

მუნიციპალიტეტის მერია

# ხაშურში მდინარე შოლას კალაპოტი იწმინდება

„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია შოლის გაწმენდით სამუშაოებს პერიოდულად ახორციელებს, ამ ეტაპზე პროცესები ვეფხვაძეების უბანში მიმდინარეობს და ყველა საჭირო ლოკაციას მოიცავს. მდინარე შოლას დახურული მონაკვეთების მშენებლობა, თავის დროზე, სტანდარტების დაცვით არ განხორციელდა,ცუდი გამტარუნარიანობა აქვს, ამ ყველაფერს კი ემატება მდინარეში საყოფაცხოვრებო ნარჩენების ჩაყრა,რაც სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს. მიმდინარე სამუშაოები მნიშვნელოვანია როგორც სტიქიის პრევენციისთვის, ასევე, ეკოლოგიური თვალსაზრისით“- აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერთან ერთად ადგილზე იმყოფებოდა მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გიორგი პაპიაშვილი, მისი განმარტებით, სამუშაოებს მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს და ღირებულება 97 777 ლარს შეადგენს.

- ფეხბურთი -

# ჩაშლილი მატჩი და სასჯელის მოლოდინი

ხუთი დღეა არ წყდება მითქმა-მოთქმა საფეხბურთო მატჩზე, ხაშურის „ივერიასა“ და თბილისის „გლდანს“ შორის, რომელიც წინა ოთხშაბათს გაიმართა და მთელი საქართველოს „საფეხბურთო სამყაროს“ (და არამარტო) ყურადღება მიაპყრო. ვისაც არ ეზარებოდა, ლანძღა ჩვენი ქალაქი და ჩვენი გულშემატკივარი. არ დაიშურეს „მავნე“ ეპითეტები თუ „ჩახვეული“ კალამბურები. ყველაზე გულდასაწყვეტი, და ჩემთვის გასაოცარი, კი ისაა, რომ ამ „ლანძღვის ომის“ ავანგარდში ჩვენი თანაქალაქელები არიან, თანაც ისე, რომ არც რეალობის არსი იციან და, ვგონებ, არც სურვილი აქვთ, დეტალებში იცოდნენ, რა მოხდა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: 15 ივნისს „ივერია“ „გლდანს“ მასპინძლობდა. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, დაინტერესება დიდი იყო - „ივერიას“, მოგების შემთხვევაში, ლიდერი ხდებოდა და სწორედ „გლდანს“ ჩაანაცვლებდა. მატჩი ჩვენი გუნდისთვის იდეალურად დაიწყო. პირველივე წუთზე, ზაზიკაშვილმა ისარგებლა მცველების შეცდომით და ანგარიშიც გაიხსნა. მიუხედავად იმისა, რომ უპირატესობა „ივერიას“ შემდეგ წუთებში ჰქონდა, ერთ-ერთი კონტრშეტევისას აქეთ მივიღეთ გოლი და ანგარიშიც გათანაბრდა. მეორე ტაიმი თითქმის ანალოგიურად დაიწყო, ოღონდ პირიქით - სტუმრებმა პირველივე წუთზე გაიტანეს - 1:2. ამის შემდეგ დაიწყო „ივერიის“ თითქმის ორმოცწუთიანი შტურმი, რომლის დროსაც

ხან მათი მეკარე ყოჩაღობდა, ხანაც, უბრალოდ, იღბალი არ გვწყალობდა (თუმცა, ამ უიღბლობაში, ჩვენს თავდამსხმელებსაც მიუძღვით წვლილი). იყო ორი მომენტიც, როდესაც თავისუფლად შეიძლებოდა თერთმეტმეტრიანის დადება, მაგრამ მსაჯის სასტვენი დუმდა. მღელვარება მართლაც პიკს აღწევდა და შეხვედრის 89-ე წუთზე, ჩვენი თვდამსხმელი ერთბაშად ორმა მცველმა მოცელა საჯარიმოში. პენალტი მშვენივრად შეასრულა გიორგი ნოზაძემ და ანგარიშიც გათანაბრდა 2:2. მანამდე თამაში, სხვადასხვა ტრამვის და შეცვლების გამო, რამდენჯერმე გაჩერდა, ამიტომ მსაჯი თამაშს, სავარაუდოდ, 4-5 წუთს კიდევ დაამატებდა და „ივერიასაც“ მინიმალური, მაგრამ შანსი რჩებოდა, კიდევ ერთი გოლი გაეტანა. თუმცა, ვინ აცალა. სტუმართა მე-14 ნომერი, გიორგი სამადაშვილი პირდაპირ ტრიბუნებთან მიიჭრა, ჯერ ხომ უხამსი ჟესტებით შეურაცხყო გულშემატკივარი, შემდეგ არც ბილწსიტყვაობა დაიშურა. თუმცა, ეს კიდევ არ იყო ზღვარი, რომლიღაც ვაიგულშემატკივრის მიერ მოედანზე გადასროლილი მინერალური წყლის შუშის ბოთლი, „გლდანის“ მეკარემ აიღო და ერთად შეჯგუფულ „ივერიელებს“ სტყორცნა. ბოთლი კი პირდაპირ შუბლზე შეასკდა სანდრო ხაჩიძეს, რომელიც უგონოდ დაეცა. საბედნიეროდ, დიდ ტრაგედიას გადავრჩით. სანდრო ჰოსპიტალიზებულია და დღეს თავს, კარგად გრძნობს, თუმცა, შუბლზე ნაკერი აქვს და მძიმე შერყევის გამო, მინიმუმ, ერთი თვე ალბათ ვერ შეძლებს ვარჯიშის განახლებას.

აი, ეს იყო ზღვარი. არა, ღმერთო მომკალი, არავითარ შემთხვევაში არ ვამართლებ გულშემატკივრების მოედანზე შეჭრას, ეს დაუშვებელია და სასურველია, არც არასოდეს განმეორდეს. მართლაც ყოჩაღ და მადლობა ჩვენს სამართალდამცველებს, სტადიონის ადმინისტრაციას (რომლებიც სრულიად უსამართლოდ ლანძღეს), რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რომ უფრო მძიმე ტრაგედია არ მომხდარიყო და ათეულობით გულშემატკივრისაგან დაიცვეს სტუმართა გუნდი.

ხვალ, 21 ივნისს, ფეხბურთის ფედერაციაში სპორტულ-ტექნიკური კომისიის სხდომაა და ვერდიქტიც გამოტანილი იქნება.

თუმცა, კიდევ ერთხელ მინდა შევეხო იმ პროვოკატორის ქმედებას, რომელმაც სათავე დაუდო ამ ბაკხანალიას. უხერხული შედარება კი გამომივა, მაგრამ მაინც უნდა გავიხსენო: როდესაც ფეხბურთის ვარსკვლავმა ერიკ კანტონამ, „მანჩესტერში“ თამაშისას, საჯაროდ, ყველას თვალწინ, შეურაცხყოფა მიაყენა გულშემატკივარს, მას, ფაქტობრივად, სამუდამოდ დაატოვებინეს ფეხბურთი. სად კანტონა და სად სამადაშვილი, ვიმეორებ, შედარებაც კი უხერხულია, მაგრამ მთავარ დამნაშავეს, ალბათ, უნდა მიეზღოს. აქედან გამომდინარე, სტადიონის სასჯელიც შესაძლოა შემსუბუქდეს. რა თქმა უნდა, მძიმე სასჯელი ელის მათ მეკარესაც, რომელმაც კინაღამ შეიწირა ადამიანი.

რაც შეეხება მატჩს, აქაც, ჯერ-ჯერობით, გაურკვევლობაა. იგი შეწყდა, როდესაც ანგარიში 2:2 იყო. ალბათ ასეც დატოვებენ, თუმცა, მცირე იმედი მაინცაა, რომ „ივერიას“ 3 ქულა დაურიცხონ, რადგან რაც მოხდა, ამ დანაშაულში „ლომის წილი“ „გლდანს“ მიუძღვის.

დავუცადოთ კომპეტენტური კომისიის დასკვნას და შემდგომი ანალიზიც ამის შემდეგ გავაკეთოთ. მხოლოდ ერთს დავამატებ: მატჩის კომისრის ანგარიშში სრული სიცხადითაა ასახული მთელი რეალობა და ამას მსაჯებიც ადასტურებენ. ეს კიდევ ერთი პლიუსია, რომ ჩვენი სტადიონის მიმართ შერბილებული სასჯელი დაიდოს.

გოგი გოგოლაძე


## ცხადდება ვაკანსიები!

„ჩინეთის გზებსა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი“ (CRBC), რომელიც ოპერირებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, იწყებს ახლადასაშენებელ მაგისტრალის პროექტს, რომლის სრული სიგრძე 13,05 კმ-ია. (სამშენებლო პერიოდი - 36 თვე). მშენებლობა იწყება სოფელ ბორითთან და გრძელდება სოფელ წევამდე.

პროექტის ზოგადი აღწერა

დამქირავებელი, ამ პროექტის განხორციელებისათვის, არის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ხოლო ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ევროპის საინვესტიციო ბანკი. პროექტის დიზაინისა და მისი მნიშვნელობისთვის მიღებული იქნება ტრანსევროპული ჩქაროსნული მაგისტრალების და ქართული სტანდარტები, პროექტის ფარგლებში იგეგმება ოთხზოლიანი ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობა, ბეტონის ზედაპირით, დამატებითი გზების მშენებლობა, ასევე გვირაბებისა და ხიდების მშენებლობა ასფალტის ზედაპირით. მთლიანი მონაკვეთის 70% ხიდებსა და გვირაბებს უკავია. პროექტის ძირითადი სამუშაოები მოიცავს მიწაზე სხვადასხვა ტიპის სამუშაოებს, გვირაბებისა და ხიდისთვის სადრენაჟო სისტემების მოწყობას (წყალგამტარი მილები და წყალსადინარი ღარების მოწყობას) ასევე, გამწვანებას (რაც მოიცავს დახრილი ადგილების დაცვას), განათებებს და შემაკავებელი კედლების აშენებას. სამშენებლო პროექტის დროს, აშენდება 9 გვირაბი (თბილისი-არგვეთას მონაკვეთი), 13 ხიდი (თბილისი-არგვეთას მონაკვეთზე), მოეწყობა 8 წყალგამტარი რკინა-ბეტონის (თბილისი-არგვეთის მონაკვეთზე) მილი და 9 წყალგამტარი მილი (არგვეთა - თბილისის მონაკვეთზე).

დღეისათვის, კორპორაციაში რამდენიმე პოზიციაზე არის ვაკანსიები. გთავაზობთ პოზიციების ჩამონათვალს და ამ კონკრეტულ პოზიციაზე საშუალო თვიურ ხელფასს:

1. ავტო ამწის ოპერტორი (3106ლ.);
2. ბულდოზერის ოპერატორი (2428ლ.);
3. ავტობუსის მძღოლი (1375ლ.);
4. ამწის მძღოლი (1081ლ.);
5. შეფის დამხმრე (671ლ.);
6. დამსუფთავებელი (659ლ.);
7. გზის სატკეპნის (კატოკის) მძღოლი (1284ლ.);
8. მუშა (დამხმარე მუშა) (974ლ.);
9. ელექტრიკოსი (1175ლ.);
10. შემდუღებელი (1473ლ.);
11. მოძრაობის მაკონტროლებელი (845ლ.);
12. ტექნიკის ელექტრომექანიკოსი (1699ლ.);
13. ექსკავატორის მძღოლი (1981ლ.);
14. საწვავმზიდის მძღოლი (1199ლ.);
15. გრეიდერის ოპერატორი (2752ლ.);
16. ტექნიკის ლაბორანტი (1455ლ.);
17. მტვირთავი ოპერატორი (1629ლ.);
18. გვირაბის მუშა (1324ლ.);
19. მანუკულატორის მძღოლი (1487ლ.);
20. ბეტონის მიქსერის მძღოლი (1379ლ.);
21. სამასვლის მძღოლი (1155ლ.);

ამის გარდა არის სხვა პოზიციებიც.

P.S.

ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალების მძღოლს ესაჭიროება შესაბამისი მართვის მოწმობა. ასევე, განსაზღვრულია დასაქმებულთა ასაკობრივი ზღვარი და თითოეულ პოზიციაზე მუშაობის მსურველი უნდა იყოს 18-60 წლის.

აქვე, ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები: ჯანმრთელობის ცნობა, ნასამართლეობის ცნობა, ბანკის ანგარიში (თბს ან საქართველოს ბანკი), 2 ფოტო - 3ხ4. დოკუმენტების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე 09:00 საათიდან 19:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ზესტაფონი, უშანგი ჩხეიძის 49.

საკონტაქტო პირები:

გვანცა თოთაძე
HR ოფიცერი
ტელ: +995 574 32 32 34
Mail: gvancatotadze@gmail.com

დავით ალხაზიშვილი
კოორდინატორი
ტელ: +995 577 395 295

ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი
China Road and Bridge Corporation Branch of Georgia


ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.